ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიში
2024 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ოთარ ცოტნიაშვილი

2024

შესავალი

ერედვის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ყოველწლიურად ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი სამსახურები და გამგეობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები უზრუნველყოფენ მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. ბიუჯეტის რაციონალური, ეფექტური და მიზნობრივი ხარჯვის შედეგად, 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული პროექტი/აქტივობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“-სა და ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების შესაბამისად წარმოგიდგენთ ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებლის ანგარიშს 2024 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

მმართველობის პოლიტიკა

გამგეობა საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს ექვსი სამსახურის, ხუთი ტერიტორიული ორგანოსა და გამგეობის მიერ დაფუძნებული ოთხი არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის მეშვეობით.

გამგეობაში დასაქმებულია ორი პოლიტიკური თანამდებობის პირი, 48 საჯარო მოხელე და 8 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

2024 წლის განმავლობაში გამგეობაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად გამოცხადდა ერთი ღია და ერთი შიდა კონკურსი, რომელიც დასრულებულია წარმატებით.

მოსახლეობის, სხვადასხვა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გამგეობასთან კომუნიკაცია ხორციელდება სატელეფონო ცხელი ხაზის, ელექტრონული ფოსტისა და გამგეობის კანცელარიის მეშვეობით. გამგეობა ასევე ჩართულია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში EMS.

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეებისათვის თვალყურის დევნება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის ელექტრონული გვერდის eredvi.gov.ge და Facebook გვერდის მეშვეობით.

2024 წელში გამგეობაში შემოსულია 1 218 განცხადება/წერილი, მათ შორის 608 ელექტრონული ფორმით, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული საქმისწარმოების

სისტემის მეშვეობით. გამგეობა უზრუნველყოფს კორესპოდენციაზე დაუყოვნებლივ რეაგირებასა და შესაბამისი საკითხების უმოკლეს ვადებში განხილვას.

ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული საწყისი ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 2 630 000 ლარით. შემდგომ პერიოდში წინა წლის ბიუჯეტიდან 2024 საფინანსო წელში გარდამავალი ნაშთების, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაცემული სახსრების, ფინანსთა სამინისტროს მიერ მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის, აგრეთვე, 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით ადგილობრივი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების (დღგ, ქონების გადასახადი) გეგმაპროგნოზის 543300 ლარით გადიდების და სხვა ფაქტორების გავლენის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ მიმდინარე წელს შეადგინა 3262805ლარი. აქედან 3138578 ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს, 20 000 ლარი მიზნობრივ ტრანსფერს. წლის დასაწყისში ნაშთი შეადგენდა 76800 ლარს. სხვა შემოსავლების მოცულობა 27427 ლარს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 483257 ლარი შეადგინა. აქედან, ელექტრონულად განხორციელებული შესყიდვებით ხელშეკრულებები დაიდო 374972 ლარზე, ხოლო გამარტივებული შესყიდვებით 46062 ლარის ოდენობის თანხაზე. ამასთან, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 62223 ლარის შესყიდვა. სულ მომზადდა 62 ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის გამგეობამ სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად გააფორმა მიმწოდებლებთან.

ინფრასტრუქტურული პროექტები

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეული, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

2024 წელს განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენდა დევნილი მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ინფრასტრუქტურის მოწყობა. კონკრეტულად, დევნილთა ჩასახლებებში დაზიანებული საცხოვრებელი ბინების შეკეთება, სარწყავი, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, ასევე საგზაო და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

პრიორიტეტების გათვალისწინებით, ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურისა და ერედვის

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ ,,ერედვის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტო“-ს მიერ განხორციელდა არაერთი პროექტი.

ელექტრომომარაგება

ერედვის მუნიციპალიტეტი მონაწილეობს ლიეტუვას რესპუბლიკის გარემოსდაცვითი სამინისტროს გარემოსდაცვითი პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტში „საქართველოში გარემოს დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების პრობლემების გადაჭრა ლიეტუვის გამოცდილების გაზიარებით მზის ენერგიის სფეროში.“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მზის ელექტროსადგურები აშენდა ხურვალეთის, კოდის, საქაშეთის, სკრის დევნილთა დასახლებაში. 2024 წელს კიდევ ერთი სადგური აშენდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კოდის დევნითა დასახლებაში. არსებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ელექტროსადგურის მეშვეობით, ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილ მოსახლეობას მნიშვნელოვნად შეუმცირდა ან სრულიად გათავისუფლდა ელექტროენერგიის გადასახადისაგან. ყოველივეს გათვალისწინებით, აქტიურად გრძელდება თანამშრომლობალიეტუვას რესპუბლიკასთან.

მზის ელექტროპანელები გამოიგზავნა ლიეტუვის რესპუბლიკის დაფინანსებით, შუამავალი კომპანია „UAB სოლეტ ტექნიკსი“-ს მიერ, ხოლო მშენებლობა უზრუნველყო შპს „სოლარ ენერჯი ჯორჯია“-მ ერედვის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. კოდის დევნილთა დასახლებაში განთავსებული ელექტორსადგური უზრუნველყოფს 375 კილოვატ საათი ელექტროენერგიის გამომუშავებას. გამომუშავებული ელექტროენერგია სრულიად უფასოდ მიეწოდება კოდაში მცხოვრებ დევნილ მოსახლეობას.

2025 წელს დაგეგმილია მზის ელექტროსადგურების მშენებლობა, წინამძღვრიანთკარის, ბერბუკის და შავშვების დევილთა ჩასახლებებისთვის.

საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის "Connective Cities" ფარგლებში, ერედვის მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო სენაკის მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ შეხვედრაში.

შეხვედრის მიზანი იყო განახლებადი ენერგიის სფეროში ორ მუნიციპალიტეტს შორის გამოცდილების გაზიარება.

ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ გაზიარებულ იქნა ინფორმაცია დევნილთა დასახლებებში განახლებადი ენერგიის მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ, რომელიც დევნილთა დასახლებებში მზის ელექტროსადგურების მშენებლობასა და მართვას ითვალისწინებს. შეხვედრის ფარგლებში, ასევე ხაზი გაესვა მუნიციპალიტეტებს შორის განახლებადი ენერგიის მიმართულებით თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას.

სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა

2024 წლის 15 ივლისს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მომართა გორის მუნიციპალიტეტის ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში, მცხოვრებმა მოსახლეობამ, რომლებიც ითხოვდნენ, სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით ჭაბურღილების მშენებლობას. ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის დაკვეთით შედგა გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურვალეთში, სასმელი წყლის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

ა(ა)იპ წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული სამუშაოები

ა(ა)იპ წყალმომარაგების რეაბილიტაციისა და მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფდა დევნილთა დასახლებებში ინფრასტრუქტურის განვითარებას, სასმელი და სარწყავი წყლის

შეუფერხებლად მიწოდებას. ბიუჯეტიდან თანხები გაიარჯა ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, საკანალიზაციო სისტემების გაწმენდით სამუშაოებზე და წყლის მომარაგების სისტემების გამართვაზე. დევნილთა დასახლებებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: საკანალიზაციო სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით სამუშაოები ჩატარდა კოდის, საგურამოს და გარდაბნის დევნილთა დასახლებაში, გაიწმინდა სალექარი ჭები და შეკეთდა დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების საკანალიზაციო სისტემები. სასმელის წყლის გამართულად მიწოდებისათვის, სასმელის წყლის ქსელის შეკეთების სამუშაოები ჩატარდა სოფ კოდის დევნილთ დასახლებაში. სოფელ კარალეთის დევნილთა დასახლებაში გაწმენდილ იქნა სარწყავი-სანიაღვრე არხები, ხოლო სოფ წეროვანის დევნილთნ დასახლებაში ჩატარდა მოხრეშვის სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის განვითარება

ა(ა)იპ „ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათებლო დაწესებულების“ დირექტორის თხოვნით, ჩატარდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ კოდის დევნილთა დასახლებაში არსებული სტადიონის შემოღობვის სამუშაოები.



ქ. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. შავშვების დევნილთა დასახლების მცხოვრებთა მოთხოვნით განხორციელდა სოფ. შავშვების დევნილთა დასახლებაში არსებული სასფლაომდე მისასვლელი გზის მოხრეშვის სამუშაოები.

.

დასრულდა ქ. გორის მუნიციპალიტეტის სოფ. საქაშეთის და კარალეთის დევნილთა დასახლებებში, ასვე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კოდის დევნილთა დასახლებაში არსებული ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მინი სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას უზურნველყოფს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

სოციალური დახმარება

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 04 დეკემბრის N15 დადგენილებით დამტკიცებულია ერედვის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი.

სოციალური დახმარების გაცემის წესით გათვალისწინებულია 13 სახის დახმარება, რომელიც გაიცემა ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილ მოსახლეობაზე. დახმარებათა წრეს 024 წელს დაემატა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ყურის სასმენი აპარატებით დახმარება და შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებულ არასრულწლოვანთა დახმარება.

ახალშობილთა ოჯახების დახმარება

ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი ოჯახები, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი იღებენ ერთჯერად დახმარებას 300 ლარის ოდენობით. 2024 წელს 47 ახალშობილზე გაცემულმა დახმარებამ შეადგინა 14 100 ლარი.

გარდაცვლილთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირის დევნილის და მათი ოჯახის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის არმქონე წევრის (მეუღლის) გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მათი ოჯახის წევრები იღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით. 47 ოჯახზე გაცემულმა დახმარებამ 2024 წლის განმავლობაში შეადგინა 23 500 ლარი.

ოპერაციების თანადაფინანსება

იმ მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათი ოჯახის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის არმქონე წევრს (მეუღლე) ერთჯერადად ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ნაწილობრივ უფინანსდებათ გეგმური და ურგენტული ოპერაციები. დახმარების ოდენობა განისაზღვრება მოქალაქის ფაქტობრივად გადახდილი თანხის სრული ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. 2024 წელს ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეულმა დახმარებამ 34 მოქალაქეზე შეადგინა 11 852 ლარი.

დევნილთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური შემწეობა

სოციალური პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას. 2024 წელს დასახლებებში მცხოვრებდევნილებს გადაეცათ სასურსათო კალათები, რომელიც მოიცავდა 25 კილოგრამ ხორბლის ფქვილს, 10 ლიტრ ზეთს, 10 კილოგრამ შაქარს. პროდუქტი დაურიგდა 1 375 ოჯახს. პროდუქტის საერთო ღირებულებამ კი შეადგინა 110 018 ლარი და 70 თეთრი.

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ დევნილ ოჯახებს, რომელიც არ ცხოვრობენ დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში, სოციალური პროგრამის ფარგლებში სასურსათო კალათის ნაცვლად, გადაეცემათ ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით. 407 ოჯახზე გამოყოფილმა დახმარებამ შეადგინა 40 700 ლარი.

მოხუცებულთა ერთჯერადი სოციალური დახმარება

ერთჯერად 200 ლარის ოდენობით სოციალურ დახმარება გადაეცემათ იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის მუნიციპალიტეტში და შეუსრულდათ 80 და მეტი წელი. 2024 წლის განმავლობაში გაწეულმა დახმარებამ 214 მოქალაქეზე შეადგინა 42 800 ლარი.

მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი სოციალური დახმარება

ერთჯერად სოციალურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით იღებენ ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 4 ან მეტი შვილი, აქედან ერთი მაინც არასრულწლოვანი (18 წლამდე). 30 მრავალშვილიან ოჯახზე გაიცა 6 000 ლარი.

ონკოლოგიურ ავადმყოფთა ერთჯერადი სოციალური დახმარება

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები დევნილი ონკოლოგიური ავადმყოფები და მათი ოჯახის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის არ მქონე წევრი (მეუღლე) მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან იღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 500 ლარის ოდენობით. 43 ონკოლოგიურ ავადმყოფზე გაიცა 21 500 ლარი.

დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანთა ერთჯერადი სოციალური დახმარება

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ დედ-მამით ობოლ არასრულწლოვნებს გადაეცემათ ერთჯერადი სოციალური დახმარება თითოეულ არასრულწლოვანზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. 2024 წელს ორ არასრულწლოვანზე გაცემულმა დახმარებამ შეადგინა 1000 ლარი.

დიალეზზე მყოფ პირთა ერთჯერადი სოციალური დახმარება

დიალიზზე მყოფი დაავადებული მოქალაქე, რომლიც არის ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი და მათი ოჯახის იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის არმქონე წევრი (მეუღლე), მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებს ერთჯერად სოციალურ დახმარებას 400 ლარის ოდენობით. 5 დიალიზზე მყოფ პირს 2024 წელს გადაეცა 2 000 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვანთა დახმარება

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვნები, რომლებიც არიან ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 200 ლარის ოდენობით. 5 არასრულწლოვანზე გაცემულმა დახმარებამ 2024 წელს შეადგინა 1000 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტთა დახმარება

მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები, რომლებიც არიან ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. ერთ სტუდენტზე გაცემულმა დახმარებამ 2024 წელს შეადგინა 500 ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ყურის სასმენი აპარატებით დახმარება

ყურის სასმენ აპარატებს იღებენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის მუნიციპალიტეტში, აქვთ სმენის დაქვეითება და საჭიროებენ ყურის სასმენ აპარატებს.

შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებულ არასრულწლოვანთა დახმარება

შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული არასრულწლოვნები, რომლებიც არიან ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან იღებენ ერთჯერად სოციალურ დახმარებას 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. ერთ არასრულწლოვანზე გაწეულმა დახმარებამ 2024 წელს შეადგინა 400 ლარი.

კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებები

ერედვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის განათლების, კულტურისა და სპორტის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას უზრუნველყოფს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, ასევე კულტურული ღონისძიებების გამართვასა და ახალგაზრდების განვითარებაში აქტიურადაა ჩართული ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“. ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი ახალგაზრდების ფიზიკურ განვითარებასა და სპორტულ ღონისძიებებში ჩართვაზე ზრუნავს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება.“ ხურვალეთის დევნილთა დასახლებაში ფუნქციონირებს ა(ა)იპ “ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურვალეთის დევნილთა დასახლების ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო საჯარო დაწესებულება“, რომელიც ზრუნავს ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი აღსაზრდელების ზრდა-განვითარებაზე.

წარჩინებული სტუდენტების წახალისება

ერედვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 01 მაისის N6 დადგენილებით დამტკიცებულია „ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი“. პროგრამის მიზანია სწავლაზე ორიენტირებული, მოტივირებული და წარმატებული სტუდენტების წახალისება ერთჯერადად ფულადი ჯილდოს გადაცემის გზით, ასევე სტუდენტის საერთაშორისო სასწავლო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის შემთხვევაში მგზავრობის ხარჯების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამის სახის წამახალისენებლი ჯილდო.

ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიმდინარე წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, მიიღებენ ერთჯერად ფულად ჯილდოს.

ფულადი ჯილდო გაიცემა შემდეგი ოდენობით:

ა) 100% სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებზე – 500 ლარი;

ბ) 70% სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებზე – 400 ლარი;

გ) 50% სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებზე – 300 ლარი.

პროგრამის თანახმად ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და გასული სასწავლო წლის (ორი სემესტრი) განმალობაში არჩეულ თითოეულ საგანში მიღებული აქვთ 91 ქულა ან მეტი, მიიღებენ ერთჯერად ფულად ჯილდოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ერედვის მუნიციპალიტეტისაგან ფულადი ჯილდო მიიღო 7-მა სტუდენტმა, ჯილდოს სახით გაცემულმა თანხამ კი შეადგინა 3697 ლარი.

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან დევნილი სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სასწავლო გაცვლით პროგრამაში და მიემგზავრებიან საქართველოს საზღვრებს გარეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად, დაუფინანსდებათ უცხო ქვეყანაში ჩასვლისა და საქართველოში დაბრუნების ხარჯები არაუმეტეს 1000 ლარი ოდენობით. 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა ერთი სტუდენტი.

კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები

3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით მრავალშვილიან დევნილ (ოთხი და მეტი შვილი) დედებს გადაეცათ ელექტრო ჩოფერები და მისალოცი ბარათები.

4 ოქტომბერს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის განთლების, კულტურისა და სპორტის სამსახურმა უზუნველყო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანიდან და ქ. გარდაბნის დევნილთა ჩასახლებებიდან პატარა და დიდი ლიახვის ხეობიდან დევნილი ბავშვების ტრანსპორტირება ქ.თბილისის სსიპ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სპექტაკლზე ,,სათაგური“.

24 მაისს, ერედვის მუნიციპალიტეტის კოდის კულტურის ცენტრმა ერედვის მუნიციპალიტეტის განათელების კულტურის და სპორტის სამსახურთან ერთად ჩაატარა ღონისძიება „მცხეთისჯვრობა“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე სპორტულ - საგანმანათლებლო დაწესებულების“ აღსაზრდელებმა, გაიმართა სპორტული ღონისძიება და შეჯიბრებები. ღონისძიების ჩასატარებლად ერედვის მუნიციპალიტეტის განათლების კულტურის და სპორტის სამსახურმა შეიძინაა სიგელები, დაიქირავა ანიმატორები, რომლებმაც წარმოადგინეს გასართობი შოუ, ასევე მონაწილეებს გადაეცათ სასაჩუქრე ჩანთები და სპორტული ფორმები, ღონისძიებაზე მიწვეული

სტუმრებისთვის მომზადდა ფურშეტი.

21 ივნისს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კარალეთში დევნილთა დასახლებაში ჩატარდა გასართობი ღონისძიება სადაც მონაწილეობა მიიღო გასართობმა ცენტრმა ,,ქიდსლენდმა''.

28 ივნისს კარალეთის დევნილთა დასახლებაში რეაბილიტირებულ ხელოვნურსაფარიან მინი მოედანზე გაიმართა სპორტულ-გასართობი ღონისძიება, სადაც მინი ფეხბურთის შეჯიბრში ა(ა)იპ სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრირებულმა მოზარდებმა მიიღეს მონაწილეობა, გამარჯვებული 30 დევნილი მონაწილე, წახალისების მიზნით ეწვია ,,ჯინო ფერედაისს“.

ერედვის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებმა და საჯარო მოხელეებმა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გმირულად დაღუპული სამხედროების ხსოვნას პატივი მიაგეს და მუხათგვერდის და სოფელ შინდისის ძმათა სასაფლაოზე საფლავები გვირგვინით შეამკეს.

ერედვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებიდან დევნილ პედაგოგებს გადაეცათ სასაჩუქრე ნაკრებები.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

ა(ა)იპ კულტურის ცენტი აქტიურადაა ჩართული ერედვის მუნიციპალიტეტიდან დევნილი

მოსახლეობის კულტურულ განვითარებაში, ხელოვნებისა და მუსიკის პოპულარიზაციაში.ამ მიზნით ცენტრში ფუნქციონირებს საესტრადო სიმღერის რამდენიმე ჯგუფი „ვარსკვლავები“, „სხივები“, „მუსიკალმუნიციპალიტეთან, ური მატარებელი“, ასევე ფუნქციონირებს ქართული ხალხური ცეკვის წრე.ცენტრში შექმნილია ორი ანსამბლი „ჯვარული“ და „იმედი“. კულტურის ცენტრში სწავლებას გადის 111 მოსწავლე.

კულტურის ცენტრი თანამშრომლობს და პარტნიორულ ურთიერთობებს ამყარებს, როგორც ადგილობრივ, თეთრიწყაროს ასევე უცხოურ ორგანიზაციებთან. აქტიურად თანამშრომლობს კოდის სათემო განათლების ცენტრთან, საფესტივალო ორგანიზაცია ART GROUP-თან, სამხრეთ-ოსეთის ადმინისტრაციასთან, ასოციაცია ,,სამხრეთ განვითარება მომავალი საქართველოსთვის ROFG.

2024 წლის განმავლობაში ცენტრის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ კონცერტში, მათ შორის საახალწლო ღონისძიებებში.

გასვლითი ღონისძიებები

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის აღსაზრდელებმა 04 თებერვალს ,,არტ ჯგუფის'' ორგანიზებით, მონაწილეობა მიიღო დაბა ბაკურიანში, წაღვერის კულტურის სახლში გამართულ ქართული ხელოვნების ფესტივალზე ,,ხელოვნების ზეიმი -2024წ“, სადაც წარმატებული მონაწილეობისთვის ქორეოგრაფიულ და ვოკალურ ანსამბლებს გადაეცათ დიპლომები და სამახსოვრო სუვენირები.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ვოკალური ანსამბლი ,,სხივები'' 10 მარტს მიწვეული იყო ქ. თბოლისში საერთაშორისო კულტურის ცენტრში

,,მუზა'' მოზარდთა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ,,მშვიდობა მსოფლიოს'' სადაც ანსამბლის წევრებს გადაეცათ სიგელები.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა ,,სხივები'' 11 მაისს საირმეში, მონაწილეობა მიიღო ფესტივალზე ,,საირმე 2024''.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლებმა ,,სხივები'', ,,ვარსკვლავები" და ,,მუსილალური მატარებელი" მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქ. სოხუმისა და დ. არაყიშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე ,,ერთად აღვნიშნოთ ევროპის დღე" რომელიც გაიმართა 14 მაისს წეროვნის დევნილთა დასახლებაში.

16 ივნისს ახალქალაქის კულტურის სახლში ჩატარდა ,,ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,აბული-2024", რომელშიც მონაწილეობა მიიღო, ერედვის კულტურის ცენტრის აღსაზრდელებმა. ქორეოგრაფიულ და ვოკალურ ანსამბლებს გადაეცათ სიგელები.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის აღსაზრდელებმა ,,ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,ჯვარული“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში ,,კავკასია-2024“, რომელიც ჩატარდა ქ. ბათუმში. ფესტივალში მიღებული წარმატებისთვის ანსამბლი ,,ჯვარული''-ს თოითოეული მონაწილე დაჯილდოვდა სიგელებით.

ჩატარებული ღონისძიებები

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში დედის დღესათან დაკავშირებით ჩაატარა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს, კულტურის ცენტრთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა და ვოკალურმა ანსამბლებმა, ღონისძიებას დაესწრნენ მრავალშვილიანი დედის სტატუსით მოწვეული სტუმრები.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა 18 აპრილს უმასპინძლა ცხინვალელი ფოტოხელოვანის , ჯემალ კასრაძის ფოტოებისა და შიდა ქართლის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი სურათების გამოფენას.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა 16 მაისს უმასპინძლა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ, ვანო სარაჯიშვილის 145-ე საიუბილეო საღამოსადმი მიძღვნილ ღონისძიებას. პროექტს ხელმძღვანელობდა სოპრანო ანა ლომიაშვილი.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის აღსაზრდელებმა 24 მაისს მონაწილეობა მიიღეს სახალხო დღესასწაულში (დღეობა) ,,მცხეთისჯვრობა“.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა სოფელ კოდაში, ღია ცის ქვეშ ჩაატარა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა 06 ივლისს უმასპინძლა ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიურ ანსამბლს ,,ნართები".

23 დეკემბერს კულტურის ცენტრში ჩატარდა საახალწლო კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს კულტურის ცენტრის აღსაზრდელებმა.

სპორტული ღონისძიებები

ერედვის მუნიციპალიტეტის სპორტულ და ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნავს ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება“. დაწესებულების მიერ დევნილთა დასახლებებში შექმნილია სხვადასხვა სპორტული პროგრამა. კონკრეტულად, წეროვნის დევნილთა დასახლებაში კრივისა და მკლავჭიდის ჯგუფი, კარალეთის დასახლებაში - კრივის ჯგუფი, კოდის დასახლებაში - ჭიდაობის ჯგუფი. ასევე დაწესებულების მიერ დაკომპლექტებულია საბავშვო საფეხბურთო გუნდები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში.

2024 წლის განმავლობაში გაგრძელდა ერედვის მუნიციპალიტეტსა და საფეხბურთო კლუბ დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, დაფუძნებულია დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა, რომელშიც გაწევრიანებულები არიან 6 წლიდან 12 წლამდე ასაკობრივი გუნდები. მუნიციპალიტეტში დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლის დაფუძნების მიზანს წარმოადგენს სასკოლო ასაკის ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის ხელშეწყობის, მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების და ფეხბურთის პოპულარიზაციის მიზნით მხარეთა ურთიერთთანამშრომლობა.

საფეხბურთო კლუბის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულების მწვრთნელების გადამზადება.

გამართული შეჯიბრებები

10-11 თებერვალი - ქ. თბილისში ჩატარდა საფეხბურთო ტურნირი სადაც მონაწილეობა მიიღო სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ფეხბურთის გუნდმა.

17-18-25 თებერვალი - ქ. თბილისში ერედვის საგანმანათლებლო დაწესებულების ფეხბურთის გუნდმა მიიღო მონაწილეობა დინამოს აკადემიის ტურნირში მშვიდობის თასზე.

20-25 თებერვალი - ქ. მარნეულში ჩატარდა საქართველოს პირველობა ჭაბუკ მოკრივეთა შორის, სადაც მონაწილეობა მიიღო ერედვის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლამ ,

20-24 თებერვალი - ქ.მარნეულში ახალგაზრდა მოკრივეთა ტურნირში მონაწილეობა მიიღო ერედვის საგანმანათლებლო დაწესებულების აღსაზრდელებმა.

10-11-12 აპრილი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ თელეთში გოჩა გურულიშვილის სახელობის ტურნირში მონაწილეობა მიიღო ერედვის საგანმანათლებლო დაწესებულების სპორტსმენებმა.

აპრილის თვეში ქ. ქუთაისში ჩატარდა ოთხ დღიანი საერთაშორისო ტურნირი სადაც მონაწილეობა მიიღო ერედვსი საგანმანათლებლო დაწესებულების დევნილმა სპორტსმენებმა.

17-21 აპრილი - ქ. ქუთაისში აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოკრივეთა საერთაშორისო ტურნიში მიიღეს მონაწილეობა ა(ა)იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების სპორტსმენებმა.

12 მაისი - ქ. თბილისში ფეხბურთის აკადემიის ტურნიში მონაწილეობა მიიღოა (ა) იპ ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების სპორტსმენებმა.

21 ივნისი - ქ. გორში დევნილთა დასახლებაში ფეხბურთის მოედნის გახსნაზე მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის გუნდმა.

4-7 ივლისი - ქ . ჭიათურაში მოკრივეთა ტურნირში მონაწილება მიიღო ერედვის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მოკრივეთა გუნდმა.

19 ოქტომბერი - სკოლის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს გენო პეტრიაშვილის სახელობის ჭიდაობის ტურნირში.

9-10 ნოემბერი - სპორტსკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ჭიათურის მუნიციპალიტეტში გამართულ კრივის ღია პირველობაზე.

დასკვნა

2024 წლის განმავლობაში ერედვის მუნიციპალიტეტის სამსახურებისა და ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების ჩართულობით შესრულდა წლის განმავლობაში გაწერილი გეგმა, ბიუჯეტიდან თანხები გამოიყო პრიორიტეტულ მიმართულებებზე, განხორციელდა არაერთი სოციალური, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული პროგრამა. მუნიციპალიტეტი მუდმივად ცდილობს არსებული გამოწვევების შესაბამისად, დევნილი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, განკარგოს ბიუჯეტი და მაქსიმალურად შეასრულოს მოსახლეობის მოთხოვნები.